მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 2 მაისი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“არარატი”: აბრამიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ოგანესიანი (იშტოიანი), ზანაზანიანი, მარქაროვი (პოღოსოვი), პეტროსიანი, ლაზარიანი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი (მუჯირი), გავაშელი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი (გ. ნოდია), ყიფვიანი, ესებუა.

მსაჯი: ი. სამუსენკოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია მ. მაჩაიძე.

დუბლიორები – 5:0.

ორივე გუნდისთვის ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მატჩი დაიწყო თბილისელთა იერიშით, რომელსაც მოჰყვა ყიფვიანის ძლიერი დარტყმა, ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ამის შემდეგ დინამოელები ერთგვარ უპირატესობას ინარჩუნებდნენ შუა მინდორში, გავაშელს საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი ანდრეასიანი, ხოლო უკან დაწეული ყიფვიანი ხშირად გამოდიოდა გამთამაშებლის როლში, მაგრამ ცენტრალურ ზონაში კარგად წამოწყებული კომბინაციები სისტემატურად იშლებოდა “არარატის” საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, სადაც ბურთი ერევნელთა მცველების ხვედრი ხდებოდა. აბრამიანი მხოლოდ ერთხელ ჩაება თამაშში, როცა თბილისელთა სწრაფი კომბინაციის შედეგად ებრალიძემ ძლიერად დაარტყა კარის ზედა კუთხეში. ერევნელთა მეკარემ ლამაზი ნახტომით ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ვერც არარატელები ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, ვინაიდან გადამწყვეტ მომენტებში “დინამოს” დაცვა კარგი ურთიერთდაზღვევით მოქმედებდა, და მეტოქეს ხელსაყრელ პოზიციაში გასვლის შესაძლებლობას არ აძლევდა.

ასე ორმხრივ, ერთობ კორექტულ სპორტულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი 84 წუთის მანძილზე. ფრე თითქოს გარდუვალი ჩანდა, მაგრამ ამ მომენტში პოღოსიანმა ბურთიანად შორეული რეიდი შეასრულა. მან მარჯვენა ფლანგზე გადააწოდა ბურთი, აქ წამით დაირღვა სტუმრების დაცვის მთლიანობა, ღიად აღმოჩნდა ღაზარიანი და მისმა დარტყმამ ზუსტ მიზანს მიაღწია.

დარჩენილ დროში დინამოელებმა ვერ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება.

“ლელო”, 5 მაისი, 1975 წ.